სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

საერთაშორისო ვალდებულება

- დირექტივა 2001/42/EC ზოგიერთი გეგმისა და პროგრამის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ.



სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება და სტრატეგიული დოკუმენტი

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)

- შესაბამის კვლევებზე დაფუძნებით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლის პროცედურა.
- სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ–ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების ჩატარებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას.

სტრატეგიული დოკუმენტი

- კანონქვემდებარე ნორმატული აქტი (გეგმა, პროგრამა, სტრატეგია ან მსგავსი ტიპის დოკუმენტი) რომელიც ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს ცალკეული სექტორებისათვის

სკოპინგი

სტრატეგიული დოკუმენტისათვის სგშ-ს საჭიროების დადგენის შემდგომ (სკრინინგი) ტარდება **<u>სკოპინგი</u>**

სკოპინგის მიზანია:

- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბის განსაზღვრა;
- გონივრული და პრაქტიკული, მათ შორის, გარემოს დაცვის კუთხით საუკეთესო ალტერნატივების გამოკვეთა;
- სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ალტერნატივებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
- სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ალტერნატივებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
- გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების გამოკვეთა.

სკოპინგის განცხადება

დამგეგმავი **ორგანო**

- განცხადება
- სკოპინგის ანგარიში
- სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია/სამუშაო ვერსია

სააგენტო

ჯანდაცვის სამინისტრო

3 დღე

ვებ . გვერდზე

ვებ . გვერდზე

საზოგადოება 15 დღეში წარუდგენს მოსაზრებებს

სააგენტო

ჯანდაცვის სამინისტრო

სკოპინგის ანგარიში

უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაციას დამგეგმავი ორგანოსა და სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ;
- ინფორმაციას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბების შესახებ;
- ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე, ასევე იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი, შესაძლო ზემოქმედებისა და მასშტაბის შესახებ;
- ინფორმაციას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ;
- სტრატეგიული დოკუმენტის აღწერას, მიზანსა და შესაძლო ალტერნატივებს, მათ შორის, არაქმედების ალტერნატივას;
- ინფორმაციას რამდენად უდგენს სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელ საქმიანობებს მათი ადგილმდებარეობის, ტიპის, მოცულობისა და სამუშაო პირობების, ან ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით;
- გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებს, რომლებიც ექვემდებარება შესწავლას და სგშ-ს ანგარიშში ასახვას;
- სტრატეგიული დოკუმენტის მიმართებას სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან და სგშ-ის პროცესში ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შესახებ ინფორმაციას;
- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებს;
- ინფორმაციას იმ პირთა წრის შესახებ, ვისზეც შესაძლებელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ მოახდინოს ზემოქმედება;
- ინფორმაციას იმ უწყებების შესახებ, რომელთაც შესაძლოა კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგინონ მოსაზრებები სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით.

საჯარო განხილვა



გმადლობთ ყურადღებისთვის

საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო